კვირა 1919 წ. აპრილის 27 № 90
ყოველიწადი მეხუთე

კვირა 1919 წ. აპრილის 27 № 90
ფასი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების **გამო** პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ **საათისა** კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

დღეს, 27 აპრილს დილის 11 საათზე ვერის წმინდა ნიკოლოოზის ეკლესიაში გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ შვილისა და დის ექიმ

სოფიო მამრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ მშობლები ბარბარე და გრიგოლი, და მარიამი, ძმები—პეტრე და გიორგი. 1—2335—1

უზომო მწუხარებაში მყოფნი პირისუფალნი უდროვოდ გარდაცვალებულის

ამბერკი ალექსანდრის ძის

საყვალელიძის

ულრმესს მადლობას სწირავენ ვინც პირადათ დასწრებით ან დეპეშებით განიზიარეს მათი განუსაზღვრელი მწუხარება. 1—2334—1

მიხეილ ეგნატეს ძე კონტრიძე მისი ქალიშვილი თინა, ალექსანდრა ბროკოპის ასული და იასონ ალექსის ძე კალოიანი ულრმეს მადლობას ულვნიან ყველას, ვინც წერილითა, დეპეშით ანუ პირადი დასწრებით თანაგრძნობა და სამძიმარი განუცხადა მან საყვარელ მეუღლის, დედის, დის და ცოლის დის

პოლინა პროკოფის ასულის კონტრიძის

გარდაცვალების გამო. 1—2333 1

გიორგი ნიკოლოზის ძე კვეზერელი-კოპაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 27 აპრილს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ ცოლისა და დედისა

თამარა ლუკას ასულის კვეზერელი-კოპაძისა

წირვა დაიწყება დილის 10 საათ. პანაშვიდი 12 საათ. ავლაბრის წმიდა მარინეს ეკლესიაში. (2—2331—2)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე კნ, ბარბარე დიმიტრის ასული, შვილები: როსტომ და დიმიტრი ვასილის ძენი და თამარ ვასილის ასული ამირაჯიბნი, კნ. ნინო ვასილის ასული ჯორჯაძისა, კნ. იულია ვასილის ასული ჯანდიერისა; სიძეები გიორგი ივანეს ძე ჯორჯაძე და ალექსანდრე რაჟდენის ძე ჯანდიერი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 27 აპრილს 12 საათზე თავის ბინაზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი

კნ. ვასილ ალექსანდრეს ძე

ამირაჯიბი

ცხედარი ასვენია ქვაშვეთის ეკლესიაში. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე, ხოლო წირვა ორშაბათს 28 აპრილს და ქვაშვეთის ეკლესიიდან წაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც დაკრძალავენ. (1—2336—1)

დამწუხრებული დები: მელანია ალექსანდრეს ასული კარანგოზიშვილისა, კნ. სოფიო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილისა და კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული ფალავანდიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძვირფასი ძმის

ვასილ ალექსანდრე ძის ამირაჯიბის

წირვა და პანაშვიდი ორშაბათს 28 აპრილს 10 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ხოლო დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—2336—1)

დამწუხრებულნი მეუღლე რევაზ როსტომის ძე ყიფიანი შვილებით ნიკოლოზ, თამარა ბაქრაძისა, ქეთო ნიჟარაძისა, თინათინა კრასინსკისა და ელისაბედით, სიძეები: მელქისედეკ ბაქრაძე **და ივანე კრასინსკი**, რძლები: სოფიო და ნინა შვილებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანნა ვალერიანის ასული ყიფიანისა

პანაშვიდი დღეს დილის 10 საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ორშაბათს დილის 10 საათზე სახლიდან; ანანურის შესახვევი № 7. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ქვირას, აპრილის 27-ს, შუადღის 11 ს. ქართულ კლუბში დანიშნულია

საქართვ. ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისელ წევრთა საზოგადო კრება

საკითხები: პარტიული მუშაობა თბილისში.
2. თბილისის კომიტეტის მოქმედების ანგარიში.
3. თბილისის კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 27 აპრილს წარმოდგენილი იქნება

დილით: **საბავშვო წარმოდგენა**

საღამოთი: **ფაუსტი**

28 აპრილს **„შევარდენის საღამო"**, 29 აპრილს **„კარმენი"**, 30 აპრილს საბანეევას გამოსათხოვარი ბენეფისი **„M-e ბატტერფლეი"**, 1 მაისს საზეიმო წარმოდგენა **„ხევილიელი დალაქი"**, 2 მაისს **„მშვენიერი ელენე"**.

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, აპრილის 28-ს

ქართული ტანსავარჯიშო საზოგადოება

„შევარდენი"

მმართავს პირველ ტანსავარჯიშო

საღამოს

1.

ქ-ნ შულგინას, კალანდაძე—აგასოვის, ხპიტკოს; ბ-ნ სარაჯიშვილის, პოლიაევის, ინაშვილის, ქურხულის მონაწილეობით
დ. არაყიშვილის ოპერა.

თძმულება შოთა რუსთაველზე

2.

ტან-ვარჯიშობა

ა) ბავშვთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ბ) ბავშვთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. გ) ქალთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. დ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. ე) ქალთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ვ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. ზ) ვაჟთა თავისუფალი ვარჯიშობა (3 ვარ[illegible])

ა) სიმბოლიური სურათი (საქართველო [illegible] „ევარდნობა"). ბ) საერთო ჯგუფი.

ყველა ვირჯიშობის დროს დაუკრავს მუსიკა.

თბილ. ქართ. ვაჭარ-მრეწველთა

კავშირის საბჭო

აცხადებს, რომ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის წევრებად და კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: წევრებად: 1. ამირაჯიბი კონსტანტინე, 2. აღბაშოვი დავით, 3. ბერელაშვილი ადამ, 4. ბერელაშვილი ვასილ, 5. ბენდუქიძე სპირიდონ, 6 გაბაშვილი ნიკოლოზ, 7. გველესიანი იოსებ, 8. გოთუა პართენ, 9. დათეშიძე რაჟდენ, 10. ხურაბიშვილი ვასილ, 11. კვეზერელი-კოპაძე ივანე, 12. კურდღელაშვილი რომან, 13. კორაშვილი კოტე, 14. კილასონია ნიკოლოზ, 15. ლისინოვი ნიკოლოზ, 16. ლორთქიფანიძე იასონ, 17. ლაღიძე მიტროფანე, 18) სარქისოვი კონსტანტინე, 19. სულუხია მოსე, 20. ტყავაძე კოტე, 21. უნურგუნაშვილი რაჟდენ, 22. ფორაქაშვილი სვიმონ, 23. ქავთარაძე ანდრია, 24. ქიტიაშვილი ზაქარია, 25, ყუფარაძე ბარნაბა, 26. ხოშტარია აკაკი, 27. ჯაბადარი ალექსანდრე, 28. ჯაყელი ნიკოლოზ, 29. ჯალიაშვილი რაჟდენ. კანდიდატებად: 1. ბასილაძე ტროფიმე, 2. გაჩეჩილაძე მელიტონ, 3. გორელაშვილი რაფაელი, 4. ეგნატიშვილი ალექსანდრე, 5. ესაიანცი ტიგრანი, 6. მთავრიშვილი თომა, 7. სარაჯიშვილი ი. პ., 8. სიხარულიძე ნოე, 9. ძეგველოვი ალექსანდრე, 10. ჯანელიძე გიორგი.

პირველი ყრილობა პალატის წევრთა.

დანიშნულია 1919 წ. 4 მაისს, დილის 11 საათზე ქართ. ვაჭარ-მრეწ. კავშირის ბინაზე, ფრელინის ქუჩა № 11. განსახილველი საგნები: 1. მთხსენებანი; 2. ხარჯთ აღრიცხვა; 3. არჩევა პალატის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა. თანახმად პალატის წესდების მე-37 §-სა „საზოგადო კრება კანონიერია თუ მას დაესწრო პალატის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა, თუ კრებას ორი მესამედი არ დაესწრო, მეორე კრება ინიშნება ოცდათხი საათის შემდეგ და იგი ითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც უნდა დაესწრო მას". (1—52—1).

ახლად მოწყობილი სტამბა

„ხელოვნება"

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საპერეპლოტო საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

საეურადღებო სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას" აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წერ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—1)

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო

საბავშვო ბაღი

გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 8 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2—04.

12—2289—9

ლეკურის კურსები

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1-ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—24

სხვადასხვა საკითხისთვის

კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას მრავალი საკითხი აქვს გადასაჭრელი. სადაო პოლიტიკური კითხვები უფრო გამომუშავდა და გამოირკვა ამ რესპუბლიკათა ურთიერთ დამოკიდებულებით, თავისუფლების გამოცხადების შემდგომ. ზოგიერთი სადაო კითხვა ცეცხლით და მახვილით გადაიჭრა და ზოგი კიდევ თვის გადაჭრას მოელის.

თუ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია გამონახავს საერთო ენას და ურთიერთ დამოკიდებულობის საერთო პლატფორმას ეს დიდათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ჩვენი და ჩვენი მეზობლების თავისუფლების განმტკიცებისთვის.

გარდა წმინდა პოლიტიკური საკითხებისა, კონფერენცია ეკონომიურს საკითხებსაც შეეხება. ამ სფეროში კავკასიის რესპუბლიკათა დამოკიდებულება მეტად გაურკვეველია. ფულის საკითხი, რკინის გზებისა და საბაჟოების საქმე. საქონლის გაცვლა და სხვა სავაჭრო საკითხები სრულიად მოუწესრიგებელია. საერთო ინტერესი მოითხოვს, რომ ეს საკითხები დაჩქარებით გადაწყდეს და გამოირკვეს. უამისოდ შეუძლებელი გახდება კავკასიაში ოდნავადაც მაინც ნორმალური, ეკონომიური ურთიერთობის დამყარება. აქამომდე ყველა ამ კითხვებში კავკასიის ერები თითქმის საომარ პროგრამას აწარმოებდნენ. ასეთი მდგომარეობა ყველასთვის სამძიმოდ უნდა იყოს მიჩნეული და ჩვენ იქვი არა გვაქვს, რომ კავკასიის ერთა კონფერენცია გამონახავს ისეთს ეკონომიური ურთიერთობის გეზს, რომელიც შესაძლოდ გახდის ჩვენს ქვეყანაში ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას.

კონფერენციის პროგრამას, რამდენადაც ვიცით, თვით კონფერენცია შეიმუშავებს საბოლოოდ. ჩვენ იქვი არ გვაქვს, რომ სადაო პოლიტიკურ კითხვებთან ერთად აღძრული იქნება ფინანსიური და ეკონომიური საკითხები. შესაძლებელია ყველა ამ კითხვებში კონფერენცია ვერ შეთანხმდეს, მაგრამ ეს სრულებით არ აბათილებს ამ კითხვების აღძვრის მნიშვნელობას. ფინანსიურსა და სავაჭრო საკითხებში ბევრი უდავოთ იქნება მიღებული, ვინაიდან დაწინაურებულ ერთა ეკონომიურს ურთიერთობაში მრავალი ისეთი დებულება გამომუშავდა, რომელიც სავალდებულოდ არის მიჩნეული ყველა კულტურულ ერების ნორმალურ ცხოვრებაში. თუ ჩვენ დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკის წაროებას ვიწყებთ, უნდა მივიღოთ ყველა ის საერთო პრინციპები საერთაშორისო უფლებისა, რომელიც შეეხება მეგობარ სახელმწიფოთა უფლებრივს მდგომარეობას აღებ-მიცემობისა და მრეწველობის სფეროში. უცხო სახელმწიფოში წარმოება, საზოგადოთ ეკონომიური საქმიანობა, მისვლა-მოსვლა, სასამართლოს და ადმინისტრაციის მფარველობა, ქონების შეძენა თუ გაცემა, ვალდებულებათა მიღება და მრავალი ასეთი საკითხი შეადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც უნდა აიგოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის სავაჭრო ხელშეკრულობა. ჩვენ აგრეთვე ვფიქრობთ, რომ კონკრეტიულ ეკონომიურს საკითხებშიც, როგორც არის საბაჟოს საქმე, ტრანზიტი და სხ. კავკასიის ერებს სავსებით შეუძლიანთ საერთო ხაზის გამონახვა.

ყოველს შემთხვევაში ამ რესპუბლიკათა საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს, რომ კონფერენციაზე ადგილი არ ჰქონდეს უმნიშვნელო კითხვების გამო შეჯახებას და მთავარი საკითხები და მთლიანი ინტერესები ბრძანებლობდნენ კონფერენციის მუშაობას.

რევიზია

თბილისის პირველ სასურ. მაღაზ[illegible]ი.

მთავრობის მიერ დანიშნულმა [illegible]-რევიზიო კომისიამ მოახდინა რა რევიზია თბილისის სასურსათო მთავარ პირველ მაღაზიისა, შემდეგი ბოროტმოქმედებანი აღმოაჩინა: შემოსავალ-გასავლის წიგნები ისე უწარმოებიათ, რომ შეუძლებელია მაღაზიის საქონლის რაოდენობის გამოკვლევა რა და რა დროს რამდენი საქონელი შემოდიოდა ან გაქონდათ, წიგნებში სრულიადაც არ არის აღნიშნული. შემოსავლის წიგნებში არ შეჰქონდათ არა მარტო ისეთი საქონელი, რომელიც

უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკების ცნობით ქართველ ელჩს ადესაში საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე უკრაინის საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება დაუწყია.

იტალია თანახმა არ არის რომ ფიუმეს საკითხი სამედიატორო სასამართლომ გადასწყვიტოს.

საქსონიაში საალყო წესები გამოცხადდა.

დანციგის სოციალისტებმა მთელი ქვეყნის სოციალისტებს მიჰმართეს რომ მათ უცხოელთა ძალადობიდან გერმანია იხსნან.

უკრაინის საბჭოთა ჯარმა ბენდერი აიღო, და 24 ზარბაზანი, 14 მატარებელი, 60,000 ყუმბარა დიდძალი დავლა ხელთ იგდო, რუმინელები გარბიან.

საბჭოთა ჯარმა თეოდოსია და მაგილიოვი აიღო, ხოლო ურალის რაიონში უკნ დაიხია.

მაღაზიაში თითო ყულაბით შედიოდა, არამედ სრულიადაც არ არის ნაჩვენები წიგნებში მაღაზიის მიერ მიღებული 1767 ფუთი სიმინდი, 3,692 ფუთი ხორბალი, 1017 ფუთი ქერი. ზოგიერთი საქონლის რაოდენობა, მართალია, შეტანილია წიგნებში, მაგრამ სწორეთ არ არის ნაჩვენები, მაგალითად, ქონი უნდა ყოფილიყო 1 იანვრისათვის 703 ფუთი და 25 გირ. წიგნებში კი ნაჩვენებია მხოლოდ 40 ფუთი და 8 გირვანქა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი საქონელი მეტია გატანილი მაღაზიიდან, ვიდრე ეს შემოსავლის წიგნებშია ნაჩვენები.

პირველ იანვარს საწყობში ყოფილა 213 ფუთი და 24 გირ. ჩაი, გაუტანიათ 216 ფ. და 2 გირ. ესე იგი, 2 ფუთი და 18 გირვანქით მეტი. ეს ამტკიცებს, რომ შემოსულ საქონლის რაოდენობა არ არის ნაჩვენები სწორეთ, თორემ შეუძლებელი იყო ზედმეტი საქონლის გატანა, ვიდრე ეს მაღაზიაში იყო.

მაღაზიას ჰქონია საკუთარი პურის საცხობი. 23 დეკემბრიდან პირველ აპრილამდე მაღაზიაში შემოსულა 12,724 ფუთი და 9 გირ. პური. დაუხარჯნიათ 11,158 ფუთი და 5 გირ. არ არის ნაჩვენები წიგნებში სად გაქრა 1571 ფუთი და 4 გირ. პური. შემოსავალ-გასავლის წიგნი ყოველ დღე უნდა შეემოწმებინა მაღაზიის ზედამხედველს გამცემლიძეს, რაც მას სისრულეში არ მოუყვანია. ამ სასურსათო მაღაზიის რევიზია მოახდინა წინათ გენერალ მაჟავარიანის კომისიამ და უნდა აღინიშნოს, რომ ეს რევიზია სრულიად უმიზნო გამოდგა. ამ კომისიას სრულიად არ მიუქცევია სათანადო ყურადღება მაღაზიის ქაოტიურ მდგომარეობისათვის. ამ კომისიის მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ისეთი საქონელი, რომელიც დღეს ბაზარზე ცოტა მოიძებნება მაგალითად, შაქარი, ერბო და სხვა, ძლიერ იაფ ფასებში გაუყიდნიათ, აღსანიშნავია, რომ საქონელი იყიდებოდა არა საჯარო ვაჭრობით, არამედ აძლევდნენ სხვა და სხვა დაწესებულებებს და ხშირად კერძო პირებიც ყიდულობდნენ საქონელს ამ მაღაზიიდან.

კომისიამ შეადგინა ოქმი და თავის დასკვნით წარუდგინა სამხედრო მინისტრს. კომისია სთხოვს სამხედრო მინისტრს გადაყენებულ იქნას სამსახურიდან მაღაზიის ზედამხედველი გამცემლიძე და აგრეთვე გადაეცეს მისი საქმე სასამართლოს. კომისია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ შესდგეს კომისია, რომელიც გამოიკვლევს მაღაზიის საქონლის რაოდენობას, თუ აღმოჩნდება რომ საქონელი აკლია საწყობს, მისი ღირებულება გადაახდევინონ დამნაშავე პირთ. კომისია მოითხოვს, რომ შენიშვნა გამოეცხადოს გენერალ მაჟავარიანს და მის კომისიის წევრებს, რომელთაც საქმისადმი დაუდევრობა გამოუჩენიათ.

პიევში ელჩად ნამყოფ თევზაიასთან საუბარი

გაზ. „გრუზიაში"-ში მოთავსებულია კიევის ელჩად ნამყოფ თევზაიასთან საუბარი.

— უკრაინის ბოლშევიკების ხელში გადასულთ ჩვენი გეგმები და მოსამზადებელი მუშაობა ძირიანად უნდა შეიცვალოს. მე ამით ის კი არ მსურს ვსოქვა რომ ჩვენი მდგომარეობა იქ ეხლა სრულიად უიმედო იყოს. საქმე მხოლოდ იმ პოლიტიკურ მდგომარეობაშია რომელიც ამ ახლო წარსულში იქ დამყარდა.

რაც შეეხება ჩემი მისიის მუშაობას უნდა აღვიარო რომ საქართველოდან სიშორე და ცნობის მიუღებლობა ძალიან გვიშლიდა ხელს, მაგრამ მაინც ჩვენზე დაკისრებული საქმეს შეძლებისადაგვარათ ვასრულებდით იმ დროს როცა დიდი ბრძოლა გვქონდებოდა საქართველოზე გამოგონილ ჭორების და ინსინუაციების წინააღმდეგ.

გეტმანის მთავრობა ჩვენ კარგად გვეპყრობოდა, მაგრამ უმთავრეს საქმეში, საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმეში, ვერაფერი ვერ გავაკეთეთ.

ამის შემფერხებლად იყო ის ხელშეკრულება, რომელიც უკრაინისა და გერმანიის შორის იყო დადებული და რომლის ძალითაც გერმანია კონტროლს უწევდა ყოველგვარ პირველსაჭიროების ნივთების და სურსათის გატანის საქმეს. ყველაფერი გერმანიაში გაჰქონდათ. გერმანიის ელჩ ბარონ მუმთან მოლაპარაკებამ სასურველი შედეგები არ მოგვცა. მეორე მხრით ძველი უკრაინული მთავრობა სცდილობდა ეკონომიურ საკითხებზე პოლიტიკური საკითხებიც გადაება, იგი აღძრავდა ხოლმე კითხვებს ბოლშევიკებთან საერთო ბრძოლის წარმოების შესახებ, ფედერაციაზე და სხვ.

ჩვენ რასაკვირველია ასე არა ვფიქრობდით.

იმპერატორის მთავრობის დაცემისთანავე გვეგონა რომ უკრაინა დაიწყებდა საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებას. ამან გვაფიქრებინა მათთან სავაჭრო ხელ-შეკრულების დადება. უნდა ითქვას რომ ჩვენმა ეკონომიურ მრჩეველმა სკობელევმა ამ მოლაპარაკების დროს დიდი ენერგია და უნარი გამოიჩინა.

ბოლოს და ბოლოს როგორც იყო დავდეთ რამდენიმე ხელშეკრულება უკრაინასთან ერთი იმათგანი ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იყო. შეუდექით კიდეც პურის გამოზიდვის საქმის ორგანიზაციას და ძველი მთავრობაც დაეცა. ოდესა მოსჭრეს, ნიკოლაევს ალყა შემოარტყეს და ჩვენი ტრანსპორტიც დაიშალა. დირექტორიამ შეტმანის დადებული ყველა ხელ-შეკრულებანი გააუქმა, ხოლო ჩვენი ხელშეკრულება კი, როგორც მეომარ მხარისა დასტოვა, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება ბოლშევიკებმა არ გვაცალეს.

ტყვე ქართველთა გადმოყვანის საქმეში ჩვენ გავაკეთეთ ის რის გაკეთებაც შეიძლებოდა და მართლაც მგზავრობა ძალიან შეუმსუბუქეთ. ოდესის საკონსულომ დიდი ღვაწლი დასდო ამ საქმეს.

დამფუძნებელი კრება და მენშევიკები

„ერთობა" როგორც ეტყობა ძალიან დაუფიქრებია იმ გარემოებას, რომ დამფუძნებელ კრებას საქართველოში არავითარი რეზონანსი არ აქვს და მისი მუშაობა ზანტათ, უხალისოთ და მოდუნებულათ მიდის.

დამფუძნებელი კრება უდიდესი გამოთქმაა რევოლუციონური ნებისყოფისა და მისი ბუნებრივი გვირგვინი.

ყველა დამფუძნებელ კრების ისტორია ამოწმებს და ამტკიცებს ამას წარსულში, და აგრედვე ჩვენ დღეებშიაც.

საქართველოს დამფუძნებელი კრება ბევრნაირათ არის დამახასიათებელი დღევანდელ საქართველოსთვის და უფრო მენშევიკებისა.

ვინ ჩამოთვლის, რა საშუალებით და ხერხებით—მაგრამ მენშევიკებმა დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა გაიყვანეს, უმრავლესობა სხვა ქვეყანაში უნახავი.

როგორც ეტყობა თვითონ მენშევიკებიც არ მოელოდენ ასეთ სურათს და თვითონვე შეეშინდათ, როცა მარტო თავიანთი თავი დაინახეს და თავის ამარა დარჩენ მით უმეტეს, რომ პერსონაჟიც ვერ გამოდგა შერჩეული, თუმცა არც ერთ დაბა-ქალაქში არ დაუყენებიათ ბურგომისტრები და ყველა დამფუძნებელ კრების წევრად გახადეს.

უეჭველია ეს ხალხი რომელიც მარტო გარემოებამ დააყენა ზედა პირზე და არავითარი ინდივიდუალური გამართლება არ აქვთ, არც კულტურის და არც რევოლუციის ელფერს ვერ მისცემდა დამფუძნებელ კრებას. და გამოდგა რომ მთელი მოაზროვნე საქართველო დამფუძნებელ კრების გარეშე დარჩა და ვინც მოხვდა შიგ იმათაც არ აქვთ სურვილი მენშევიკებთან ბრძოლისა იმიტომ კი არა რომ ასე უმცირესობაში არიან, არამედ იმიტომ, რომ ოპოზუციას არ აქვს ობიექტი. მენშევიკები ყოველთვის იოლად გამოდიან და თავიანთ ახალ დეკრეტებს ზედმეტ არგუმენტაციას არ უკეთებენ.

ეხლა როგორც ეტყობა, მენშევიკებს თვითონვე მოსწყენიათ ერთფეროვანი „არღანის" ჟღარუნი და გრძნობენ უხერხულობას.

„ერთობა" მოწინავე წერილში ეხება ამ საკითხს და ბრალი გადაალაქს სხვა პარტიებზე, ესერებს და ფედერალისტებს მაქსიმალისტობაში სდებს ბრალს, ეროვნულ-დემოკრატებს ნაციონალისტობაში. როგორც ყველაფერი, რაც ამ გაზეთში იბეჭდება ესეც მოკლებულია ჭკუამახვილობას, აქ არც ანალიზი არის მართალი, გარდა ფედერალისტების და ესერების დახასიათებისა და როგორც ყოველთვის მაინც თავდება საკუთარი თავის ქებით და მეშჩანური კმაყოფილების გრძნობის გამოცხადებით.

„დამფუძნებელი კრება მონოტონურია,—სწერს „ერთობა",

„მაგრამ ეს რასაკვირველია, ვერ გაამრუდებს, ვერც შეანელებს მის შემოქმედებითს მუშაობას. უფრო ნაკლების რიხით, ნაკლების ბრძოლით და შეჯახებით იქნება შესრულებული ის სამუშაო, რომელსაც ელის მხარე თავის წარმომადგენელთაგან.

ნელი და წყნარი იქნება მუშაობა დამფუძნებელი კრების, მაგრამ ეს არ შეამცირებს მის ნაყოფიერებას. ხალხის სახელით შესძლებენ შექმნან ნამდვილი რეალური ნიადაგი დემოკრატიული წყობილების უზრუნველსაყოფათ და მისცენ ქვეყანას შესაფერი კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველჰყოფს მის შემდგომ განვითარებას სოციალიზმისაკენ".

არც ჩვენ გვეპარება ეჭვი, რომ მენშევიკები შეადგენენ კონსტიტუციას—ეს კონსტიტუცია—დამფუძნებელ კრებამდე იყო შედგენილი რუსი ხალხისაგან, მაგრამ რამდენად გამძლები იქნება ეს კონსტიტუცია, ამაზე მენშევიკებს ანგარიში შეეშლებათ. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ [illegible] სამუდამოდ დაჰფარავს საქა[illegible] და არ იქნება მართლა ნა[illegible] ეროვნული გარდაქმნა და შემოქმედება.

ჩხეიძე და წერეთელი

საფრ. დეპ. პალატის ხოც. ფრაქციაში.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „ჰუმანიტე" (18 მარტის თარიღით) შემდეგს სწერს:

„პარლამენტის სოციალისტურმა ფრაქციამ გუშინ ნასადილევს მიიღო ჩხეიძე და წერეთელი, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები.

უპასუხებენ რა მუტეს, რომელიც მათ მიესალმა ჯგუფის სახელით, ჩხეიძე და წერეთელი უპასუხებენ, რომ ისინი მიჰმართავენ დიდ საფრანგეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებს და იმედი აქვთ, რომ საფრანგეთის სოციალისტები მხარს დაუჭერენ საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს, რომლებიც დამყარებულია ხალხთა თვითგამორკვევის დემოკრატიულ პრინციპებზე.

ამხანაგები აძლევენ ქართველ დელეგატებს მთელ რიგ კითხვებს.

მეიერასი ეკითხება მათ: აზრადა აქვთ თუ არა ქართველებს, რომლებიც ითხოვენ ჩვენ მიერ მხარის დაჭერას, დაგვეხმარონ ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკის დაცვაში:

კონსტანს სურს გაიგოს აზრი ჩხეიძისა და წერეთლისა, ლენინისა და ტროცკის შესახებ.

იუბერრუეე ეკითხება—რას ფიქრობენ ისინი ბალშევიკების მეთოდების შესახებ.

ვალეტი ეკითხება—მიემხრობიან თუ არა თავიანთ რუს ამხანაგებს გარეშე ძალის ჩარევის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ბარტი ეკითხება—რა აზრისა არიან ისინი საბჭოების ორგანიზაციის შესახებ.

წერეთელი უპასუხებს ყველა შეკითხვებზე. ის უსაყვედურებს ბოლშევიკებს არა იმდენად ტეროროის რეჟიმის გამეფებას, რომელიც მათ დაამყარეს, არამედ იმ მეთოდების შემოღებას, რომელნიც, მისი აზრით, არ შეეფერება რუსეთის მდგომარეობას. ის აღნიშნავს, რომ ბალშევიზმი ეყრდნობა ხალხის სიღატაკეს. ამგვარად, ამბობს წერეთელი, ჩვენ არ ვეთანხმებით ბალშევიკებს მაგრამ ჩვენ ვართ წინააღმდეგი იმის, რომ გარეშე ძალებმა ხელი შეუშალონ საბჭოთა რესპუბლიკას განვითარებაში.

მეიერასი ეკითხება: თუ ანტანტას მთავრობები მოინდომებდენ ეკონომიურად ან სამხედრო მიზნებისათვის საქართველოზე დაყრდნობას გაუწევს თუ არა წინაალმდეგობას ეხლანდელი მთავრობა ანტანტას მთავრობების მოქმედებას?

ჩვენ არ გვსურს ჩავერიოთ რუსეთის საქმეებში,—უპასუხებს წერეთელი,—მაგრამ ჩვენ არ შეგვწევს ძალა შევაჩეროთ ანტანტა.

მეიერასის ახალ შეკითხვაზე ჩხეიძე უპასუხებს, რომ ის არ გამგზავრებულა ბერლინში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ჩამოგდების შემდეგ, როგორც ამას ამტკიცებდნენ.

უბრუნდება რა საქართველოს კითხვას, წერეთელი აცნობს, თუ როგორ გატარდა იქ მიწის საკითხი, როგორ დაუნაწილდათ გლეხებს კერძო საკუთრებად მიწები სულზე 7 დესეტინა, (იქ ალბად შეცდომაა წერეთელის ნალაპარაკევის გადმოცემაში გაზეთის თანამშრომლის მიერ. მთარგმნელის შენიშვნა). ის ლაპარაკობს დამფუძნებელი კრების შესახებ, საბჭოების კონსტრუქციის შესახებ, რომლებიც არჩეულია მთელი მუშათა კლასისის მიერ, მაგრამ ის სტოვებს უპასუხოდ კაშენის კითხვას, რომელმაც ჰკითხა მას, მის საფრანგეთში ჩამოსვლის დროიდან ხომ არა ჰქონდა ადგილი ცდას, რომ ემოქმედნათ მასზე გენერალ დენიკინის მოძრაობის სასარგებლოდ.

მარსელ კაშენი საქართველოზე

მარსელ კაშენი „Humanite"-ში პროტესტს აცხადებს გაზ. „Homlibr."-ში მოთავსებულ ცნობის წინააღმდეგ სადაც საქართველოს ბოლშევიკთა წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყანად იხსენიებს. მარსელ კაშენი სწერს:

საქართველოს არ ჰსურს იყოს ბრმა იარაღი ვინმეს ხელში, მას თავის თავისუფლება სწყურია და სწორედ ამასაც მოითხოვს საზავო კონგრესზე".

ბრძოლა კასპიის ზღვაზე

ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ კასპიის ზღვაზე მომხდარ ბრძოლის ამბავს:

„19 აპრილს დილით, ინგლისელთა შეიარაღებული გემები შეჰხვდნენ მოპირდაპირის გამანადგურებლებს.

ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერი იძულებული გახდა უკან დახეულიყო.

21 აპრილს ინგლისელ ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს მოპირდაპირის გემებს ასტრახანში.

მთავრობის წრეებში

იუსტიციის სამინისტრ.

სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის სამართალში მიცემა

ცხინვალის უბნის გამომძიებელმა იუსტიციის სამინისტროს აცნობა, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭო აუსრულებლად აბრუნებს მისდამი მიმართულ გამომძიებლის მიწერილობებს იმ მიზეზით, რომ უკანასკნელი დაწერილია ქართულად და ოსეთის ეროვნულ საბჭოს კი ქართული ენის მცოდნე არა ჰყავს.

იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ამის გამო განკარგულება მოახდინა, რათა სამხ. ოსეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ფლიევი და მდივანი სამართალში იქმნენ მიცემულნი, მთავრობის განკარგულების აუსრულებლობისათვის.

ამასთანავე წინადადება მიეცა ცხინვალის უბნის გამომძიებელს მისწეროს რაიონის კომისარს, მიიღოს იძულებითი ზომები, რათა გამომძიებელის მიწერილობები ფიცხლავ სრულდებოდნენ სამხ. ოსეთის ეროვნულ საბჭოს მიერ.

განქორწინების პროექტი.

განქორწინების პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ მთავრობას ჰქონდა გადაცემული, კვლავ სამინისტროს დაუბრუნდა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისათვის.

იუსტიციის სამინისტროში მოსულ ცნობების თანახმად, მაზრებში ნაფიცმსაჯულთა სიების შესადგენად სასწრაფო მუშაობა სწარმოებს.

სიების შედგენა სამინისტროს განკარგულებით ყველგან 11 მაისამდე უნდა დასრულდეს.

ქრონიკა

მთავარი კომიტეტის სხდომა. დღეს ხალამოს 6 ს., შესხდგება მთავარი კომიტეტისა და დამფუძნებელი კრების ფრაქციის სხდომა.

საერთო კრება. დღეს, დილის 11 ს., ქართულ კლუბში შესხდგება ჩვენი პარტიის თბილისელ წევრთა საერთო კრება, პარტიულ ორგანიზაციებისა და თბილისის კომიტეტის ხაქმეთა გამო.

ნ. ელენტის გვამის პოვნა. ბორჩალოს მაზრის კომისარი აფაქიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს, რომ 4 აპრილს დაკარგულ უფროს მილიციონ. ნ. ელენტის გვამი იპოვეს შულავერიდან 2 ვერსის მანძილზე. ეჭვით დააპატიმრეს ჩაჩანიძე, დობურჯინაძე, და მიქელაძე, უკანასკნელს აღმოაჩნდა მოკლულის რევოლვერი.

სადავო ადგილების შესახებ. ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოში მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს,—ვინაიდან მომავალ კონფერენციაზე უნდა გადაწყდეს ბედი სადაო ადგილების შესახებ, მოახდინონ განკარგულება, შეაჩერონ სადაო ადგილების შესახებ საქმეების სომეხთა წარმომადგენელთათვის გადაცემა, რათა მომავალში ადგილი არ ექმნეს რაიმე გაუგებრობას.

უაზბეგთან დაჭერილ ბოლშევიკების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის საოლქო სასამართლოს ბრალ-მდებელ აცნობა რომ მინისტრის ბრძანებით შესდგა საგანგებო კომისია რომელმაც უნდა გამოარკვიოს შეეფერება თუ არა სიმართლეს ცნობა ვითომც პოლკოვნიკ წერეთელს საქარ. საზღვარზე შეეპყროს ბოლშევიკები და უაზბეგისათვის გადასცეს. საჭიროა სასამართლოს ბრალმდებელმაც აწარმოვოს სათანადო გამოძიება.

— ამავე სამინისტრომ წინადადება მისცა დუშეთის მაზრის ერობას, რათა უკანასკნელმა მიიღოს სათანადო ცნობები, აღნიშნულ ფაქტის შესახებ.

გოგირდის აბანოების იჯარით გაცემა. თბილისის გოგირდის აბანოების იჯარით გაცემის შესახებ საჯარო შეჯიბრებმ დანიშნულია ორშაბათს 30 აპრილისთვის.

ყარსში თავისუფალი შესვლა. ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით დაშვებულია ყარსხი შესვლა უნებართაოდ.

სხვა და სხვა ამბები.

გაძარცვა. 24 აპრილს ხალამოს 8 საათზე ექიმ ბერიევის ბინაზე (მიხაილოვის ქ. № 8) ვითომ გასასინჯათ შევიდა რამოდენიმე შეიარაღებული პირნი, წინადადება წაუყენეს ექიმმა მათვის ფული მიეცათ. შეშინებულმა ექიმა მათ 600 მან. ფული მისცა შემდეგ ბოროტ-გამზრახველებმა წაიღეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები 10,000 მან. ღირებული. გაძარცვეს აგრედვე იქ მყოფი ავადმყოფები.

ინგლისელ ექიმის მკვლელ პაიჭაძის დაჭერა. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ცნობით დ. ჩოხატაურში 25 აპრილს გვარდიელებს დაუჭერიათ ინგლისელ ექიმის ერთ-ერთი მკვლელთაგანი პაიჭაძე. რომლის თბილისში ჩამოსაყვანადაც შტაბმა სათანადო დამცველი რაზმი უკვე გაგზავნა.

ბოროტგამზრახველთა მოკვლა. 25 მარტს ერთობის უბნის რაიონის სახალხო გვარდიელებმა (კრასნოგორსკის ქუჩაზე) შეიპყრეს 4 საეჭვო პირნი. კომისარიატში წაყვანის დროს მათ გაქცევა დააპირეს. გვარდიელებმა სროლა აუტეხეს, მოჰკლეს სამი, 1 გაიქცა. მოკლულნი აღმოჩნდნენ: რ. მარკაროვი, მეორე რაიონის სახალხო გვარდიელი და მე-7 კომისარიატის ყოფილი მილიციელი, ორი უკანასკნელის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. მოკლულთ აღმოაჩნდათ 3 ცარიელი ტომარა და 7 გასაღები.

სტუდენ. ხალამო. ძველი სტუდენტობის ინიციატორთა ჯგუფი მოუწოდებს რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტობას, შეიკრიბონ კვირას, აპრილის 27, ნაშუადღევის 4 საათზე (ლორის-მელიქოვის ქუჩა სახ. № 1, ძველი სემინარია) ახლო მომავალში ტრადიციონულ საღამოს მოსაწყობად.

სამხატვრო ქრონიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს დილით, 3 საბავშვო ოპერა: „კატა, თხა, ცხვარი", „შვიდი ციკანი", „წითელი ქუდი". საღამოთი—საბანეევის, სარაჯიშვილის და იბაძეიროს შოსაწილეობით—„ფაუსტი" და „ქალაქარგის დამე". სამშაბათს 29 აპრილს—„კარმენი", ოთხშაბათს—„Мне ბატტერკალეი".

„შევარდენის" ხალამო. ორშაბათს აპრილის 28-ს სახელმწიფო თეატრში ქართული ტან სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი" პირველ საღამოსა ჰმართავს.

საღამოს ორი გინყოფილება ექნება 1) თქმულება შოთა რუსთაველზე და 2) „შევარდენთა" ვარჯიშობა. პროგრამაში შედის: ა) ბავშვთა ჯგუფის თავისუფალი ვარჯიშობა, ბ) ბავშვთა ვარჯიშობა ღერძზე, გ) ქალთა ვარჯიშობა ორძელზე, დ) ვაჟთა ვარჯიშობა ორძელზე, ე) ქალთა თავისუფალი ვარჯიშობა, ვაჟთა ვარჯიშობას ღერძზე და ვ) ვაჟთა თავისუფალი ვარჯიშობა.

ბოლოს სიმბოლიური სურათი და საერთო ჯგუფი.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურში შემდეგი შესწორებაა შესატანი: დაბეჭდილია პირველ სვეტის ქვევიდან 35 პწკარში: მეორდებოდა და სხვა. უნდა იყოს: სუსტდებოდა და სხვა. დაბეჭდილია მეორე სვეტის ზევიდან 26 პწკარში: სომხეთის საბუთად ჩაითვალოს დ სხ.. უნდა იყოს: სომხეთს საბუთად ჩაეთვალოს და სხვა. დაბეჭდილია იმავე სვეტის, ქვევიდან 12 პწკარში: კაბინეთში საქართველოს გამოძებნის უფლება და სხვ. უნდა იყოს: კაბინეტში საქართველოს გაბოძების უფლება და სხვ.

პროვინციის ცხოვრება

ქუთაისი.

— ქუთაისის ქალაქის თავის მოუყრავის ამხანაგად აირჩიეს სერ. რობაქიძე, გამგეობის მეექვსე წევრად კ. საყვარელიძე.

— ქუთაისის მილიციის უფროსი ვ. სულაქველიძის საკითხი საბოლოოდ გამოირკვა, თბილისმა ქუთ. საბჭოს თხოვნა არ შეიწყნარა და ვ. სულაქველიძე თბილისის მილიციის უფროსად დაინიშნა. ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე სულაქველიძეს ერთხმად მადლობა გამოუცხადა და ოვაცია გაუმართა.

— 16 აპრილს დილით ბაღდათში მიმავალ დილიჟანს ქუთაისიდან მე 6 ვერსზე საღორიის ტყეში დახვდენ შეიარაღებული ავაზაკები აუტეხეს სროლა, დასჭრეს ორი ცხენი და მგზავრები გაძარცვეს, რაც გაჩნდათ ფულათ და ნივთათ მთლათ წაიღეს.

— ქუთაისის ციხის უფროსი ატყობინებს ქუთაისის გუბ. შინაგან საქმეთა ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს ს. გეგელაშვილს რომ ადმინისტრატიული ტუსაღი დავით კასპაროვი გაიქცა. მის დასაჭერად სასტიკი ზომებია მიღებული.

— გარდაცვალებული იოსებ ოცხელის ადგილზე, ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა, ამავე გიმნაზიის ინსპექტორი ბ-ნი სილოვან თომას ძე ხუნდაძე.

— ქალაქის ბაღში სეირნობის ნებართვის მიცემის შესახებ ქალაქის გამგეობამ 12 აპრილის სხდომაზე დაადგინა: ქალაქის ბაღში სეირნობის გამართვის ნებართვა მიეცეს მხოლოდ სამ საქველმოქმედო თუ საგანმანათლებლო საკულტურო საზოგადოებას: ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას და სახალხო უნივერსიტეტს. დადგენილება მოხსენდეს საბჭოს.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო თბილისიდან, ცენტრალურ სასურსათო საბჭოდან დეპეშა, რომ ხუთი ფუთი სიმინდის გადატანა რკინის გზით ნებადართულია, ხუთ ფუთზე მეტის გადაზიდვა კი აკრძალულია და ნებართვა არავის მიეცემაო.

—

ნეიტრალურ ზონის მცხოვრებნი. 16 აპრილის სასოფლო კომისიის სხდომაზე ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებ ბერძენთა წარმომადგენელმა მოხსენება წაიკითხა რომელმაც აღნიშნა, რომ ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებნი სურსათის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიანო, აღნიშნულ რაიონის სომეხ და თათარ მცხოვრებთა შორის დიდი აგიტაცია სწარმოებს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამავე კომისიის პროპაგანდისტმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ნეიტრალურ ზონაში საწინააღმდეგო პროპაგანდა აიხსნება ადგილობრივ უმოქმედობით და განსაკუთრებით სარაიონო კომისართა სისუსტითაო. დამფუძნებელ კრების არჩევნებს ადგილო-

ბრივი მცხოვრებნი მაჰმადიანი და ბერძნები გულგრილათ ეკიდებიან. საადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გატარების საკითხი ძლიერ მწვავეთაა დაყენებული. ამ მხრივ ძლიერ ცოტაა გაკეთებული. სასოფლო კომისიამ მოისმინა რა ეს მოხსენება დაადგინა:

1. ეცნობოს მთავრობას ბორჩალოს მაზრის მდგომარეობა და ეთხოვოს ზომები მიიღოს სასურსათო საქიროების შემსუბუქების შესახებ.

2. გაიგზავნოს ამ მაზრაში შერეული კომისია მიწების მიღების შესახებ.

3. ეცნობოს საქმის მდგომარეობა დამფუძნებელ კრების სოც. დემოკრატიულ ფრაქციას.

საქართველო იქურდება

ამ რამოდენიმე წლის წინად, ჩვენი მონობის შავ-ბნელ დროს, გაქედილ თეატრს სცენიდან ერთი ნაწარმოები ასეთი სათაურით მოგვესმა: „საქართველო იყიდება“.

პატარა სურათში ხელოვნურად იყო გადმოცემული, თუ როგორ ნაკუწ-ნაკუწად იგლეჯებოდა ჩვენი სამშობლო და ჩვენი მიწა-წყალი სხვის ხელში გადადიოდა.

კარგად მახსოვს, მარტო ერთი სათაურის გაგონებაზე, მანამდე რაღაც ვოდევილით აერიამულებული ხალხი უცბად რა მკვდარ სიჩუმემ შეიპყრო და თან და თან სურათის გაშლის დროს, ყველა ჩვენგანი როგორ მოიკუმშა და თავი რა მწარედ ჩაჰქინდრა.

მას აქეთ განვლო კარგა ხანმა და დიდი ცვლილებაც განვიცადეთ. თუ იმ დროს ვისზე ჰქონდა ნება და თან წაქეზებაც, რომ ჩვენი მამული ნაპერ-ნაპერ უცხოელებზე გაესყიდა, დღეს ეს ასე ადარ არის. დღეს ჩვენ თავისუფალი ერი ვართ და საქე ამ თავისუფლებისა ხალხს ჩაჰბარდა, ხალხზე მიდგა მისი ბედი.

მაგრამ ამის და მიუხედავად, ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მოვლენის წინ, ის ზარდამცემი შთაბეჭდილების სურათი დღეს დვალ-წინ ცხადად მეხატება. შინაარსით თითქმის იგივეა, შეცვლილია მხოლოდ სათაური და მომქმედნი პირნი: „საქართველო იყიდებას“ მაგიეთ „საქართველო იქურდება“ აწერია და გამსყიდველებად რომ მემამულენი იგულისხმებოდნენ, გამქურდველებად „რევოლუციონერი“ დემოკრატები გამოდიან.

დიახ, საქართველო იქურდება! იქურდება და იტაცება საქართველოს ქონება თითქმის ყოველი დაწესებულებიდან, სადაც კი არსებობს ეს ქონება, ფუთობით, თოფობით, თუ ბითუმად. მიდის და მიდის დამშეული, გაშიშვლებული ხალხის ხელიდან აუარებელი ქონება და გადადის უცხოთა ხელში, მათდა სასარგებლოდ და ამ ბოროტების ჩამდენ რამდენიმე ათეულისა თუ ასეული მოხელის საკეთილდღეოდ!

გესმის ქურდობის ეს ვაკხანალია, შეჯიბრება იმაში, თუ რომელი მათგანი უფრო მეტად გასძარცვავს თავის ხალხს, რომელი უფრო მეტად გაისქელებს ჯიბეს და შიშსა გგვრის, რომ მათმა ასეთ აღვირ-წახსნილობამ მრთელ ქართველ ხალხს ქურდის სამარცხვინო დაღი არ დააკრას!

ნეტა თუ როდის მოეღება ამას ბოლო?! როდის განელდება ეს ახალი გადამდები ჭირი?! როდის მოვა გონს ქართველი კაცი, რომლის დახასიათება, როგორც მამაცის, თავ-მოყვარის, კეთილ-შობილის, რაინდის სულით—ყველასაგან ცნობილა და როგორც ქურდისა კი დღემდინ არავის არა სმენია!

ამის ახლო ნიშნები ჯერ არსაიდან არ სჩანს და აი მალე ვიდღესასწაულებთ ჩვენი დამოუკიდებლობის, თავისუფლების დღეს, მაგრამ მე კი ვგრძნობ, რომ არა მონობის დროს თავმოყვარეობა ჩემი ასე არ დამცირებულა, სვინდისი ჩემი ასე არას დროს არ შელახულა!

ნინო უიფიანი.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

26 აპრილი.

მოწვევის ნოტა.

გერმანიის წარმომადგენლების 25 აპრილისთვის ვერსალში მოწვევა გერმანიის მთავრობამ ბერლინში შაბათს დილით მიიღო დროებითი ზავის გერმანიის კომისიის საშუალებით. მოწვევის ნოტა დაწერილია კლემანსოს სახელით ფრანგულ ენაზე. არ გამართლდა ხმები, ვითომ ნოტა საზავო პირობათა ნაწილის შეიცავს. ნოტის მიღებისათანავე შესდგა კაბინეტის სხდომა პასუხის შესამუშავებლათ. ამ თათბირის გადაწყვეტილება ჯერ არ გამოქვეყნებულა.

ლიონის რადიოსადგური იუწყება: გერმანიის ფინანსიურმა დელეგაციამ ლილეტში ის აზრი გამოსთქვა, რომ მცირე ცვლილებათა გარდა არ არის მიზეზი, რის გამოც წარმოდგენილი ზავი არ უნდა იქნეს მიღებულიო. ეს ცნობა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. საფრანგეთის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგატების მოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილ იქნება. ბერლინის გაზეთების ცნობით გერმანიის დელეგაცია ორშაბათს, აპრილის 28 გაემგზავრება. აღნიშნავენ, რომ ნოტა შინაარსით და ენით განირჩევა წინა ნოტისაგან, მაგრამ მასში არაფერია ნახსენები მოლაპარაკების შესახებ. „ფორვერტსი“ ამბობს, გაჩუმება თანხმობის ნიშანია, რადგან მოლაპარაკება დელეგაციის გაგზავნამდე უნდა მომხდარიყო. გაზეთი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ გერმანია მზათაა საპირო მსხვერპლი გაიღოს ვილსონის პრინციპების განსახორციელებლათ და მტკიცე ზავის შესაკვრელათ, მაგრამ გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ეცადოს რომ გერმანელებს არ წაართვან თვით-გამორკვევის უფლება და ფიზიკურ არსებობის საშუალება და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მთელი მსოფლიოს სინიდისს მიმართავს იმ ძალადობის გამო, რომელსაც ამ ჟამათ ადგილი აქვს ჩვენი არსებობის უფლებაზე. ჩვენ ვიბრძვით ვილსონის პრინციპებისთვის არა მარტო ჩვენი არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების სასარგებლოთ.

ზავის კომისია.

ეროვნულ ყრილობის ზავის კომისიის უახლოესა სხდომა უნდა შესდგეს ბერლინში მაისის 2.

ბოლშევიკური ცნობები

მინსკი. აპრ. 24. ლიტვის და ბელორუსის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ შემდეგი ბრძანება გამოუშვა: სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სიმოქალაქო და სამხედრო ძალა-უფლება ლიტვის და ბელორუსის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ხელში გადადის. რესპუბლიკის მოქალაქენი იკავენ წესრიგს და სიწყნარეს.

ადესა აპრ. 22. ადესაში მოდის ფორთოხალით, ლიმონებით, თათრული თუთუნით და ინგლისური თამბაქოთი დატვირთული ოსმალური ნავები.

ადესა აპრ. 24. გენერალ ანსელმიმ აპრილის 19-ს აკერმანი დასღოვა. აკერმანის ევაკუაცია გრძელდება. რუმინელები დნესტრზე სატრანსპორტო მასალებს ანადგერებენ.

ადესა აპრ. 24. უკრაინის საბჭოთა ჯარმა აიღო ბენდერი რუმინელები გარბიან.

მოგილევი აპრ. 24. პოდოლის გუბერნიის ჩვენ მიერ დაჭერილ ადგილებში მიწის დამუშავება დაიწყეს. ყველა მემამულეების მიწები დაიყო ღარიბ გლეხთა შორის, რომელნიც ამუშავებენ ამ მიწას.

სევასტოპოლი აპრ. 24. ფრონტიდან გამოჩნდა ავტომობილი წითელი დროშით, რომელსაც მცხოვრებნი აღფრთოვანეაით შეხვდნენ.

რიგა. აპრ. 28. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა ცნობებით მარიენბურგში თეთრ გვარდიელების დამარცხების შემდეგ, ახლად შეკრებილ თეთრ გვარდიელების და ტყვეების სულიერი განწყობილება მძიმეა. რუენის რაიონში თეთრებმა გამოკიდეს წითელი დროშა და ჩვენი წარმომადგენელი მიიწვიეს მოსალაპარაკებლათ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ

კიევი. აპრ. 24. სამხედრო ცნობა. სადგურ შეპეევკასთან ჩვენი ჰაეროპლანი მოწინააღმდეგის ბანაკს უშენდა. ჩამოადგა 4 ყუმბარა, რამაც გამოიწვია ცეცხლის გაჩენა. ვოლოჩესისთან ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 17 გალიციელი შეიარადებული, ვინტოვკები და 3 ტყვიის მფრქვეველი. დნესტრის მარცხენა ნაპირი რიბნიციდან შესართავამდე გადასასვლელით ჩვენს ხელშია. პეტლიურას ჯარმა დნეპრის იქით დაიხია. ერთ ნაწილს რუმინელებმა იარაღი აყარეს, მე-2 ნაწილი გალიციაში შეიპრა. ბენდერთან მოწინააღმდეგის უკან დახევის შემდეგ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 24 ზარბაზანი, 14 მატარებელი, 6000 ყუმბარა, 100,000 ტყვია, 3000 ვინტოვკა, 6 ავტომობილი და სხვა მრავალი ქონება. პეროჩინის მიმართულებით 4 საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიპირეთ სოფელი ნოვომიხაილოვკა [illegible] სადგური ვლადისლავოვკა. 22 აპრ[illegible]ორი ნალმოსანი ინგლისელების [illegible]როშებით ჩვენ თხრილებს

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

უშენდა, დიდი ზარალი არ მიუყენებია. მარიუპოლის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო მანგუში, კალჩიკი და ვოლნოვახა.

ადესაში საქართველოს წარმომადგენელმა მოლაპარაკება დაიწყო უკრაინის, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა - გამოცვლის მოწესრიგების შესახებ.

სამხედრო ცნობა. აპრილის 25. ჩრდილოეთის ფრონტი. ცნობები არ მოსულა. დასავლეთის ფრონტი. ოლენეცის მიმართულებით მტერი ბრძოლით უკან იხევს. მარიენბურგის მიმართულებით ლატიშთა წითელმა ჯარმა ბრძოლით დაიპირა რუსკი-ბორი და ჩერნოვი. ვილნის რაიონი. მდგომარეობა უცვლელია. სამხრეთის ფრონტი. მარიუპოლის მიმართულებით ჩვენ დავიბრუნეთ მანჩუში, სადგური კალჩოკი და ვოროვახა. ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. იუზოვკასთან ბრძოლა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე სოფელი დაიპირა. ლუგანის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა მდინარე ბელაიამდე წინ წაიწია და მდინარის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის რაიონი: ჩვენმა ჯარმა სადგურ შიპოვიდან დაიხია და რკინის გზის ორივე მხარეზე ახალი პოზიციები დაიპირა. ბუგურუხლანის რაიონი: სადგურ ამტინოვკას აღმოსავლეთით ბრძოლაა. ჩისტოპოლის რაიონი. ჩვენმა ჯარმა ჩისტოპოლიდან 25 ვერსის მანძილზე დაიხია. დანარჩენ ფრონტზე მზვერავები მოქმედებენ და დროგამოშვებით სროლაა.

ხმები ბუდგრეთზე.

ზოგიერთ ცნობების მიხედვით ჩეხოსლოვაკების ჯარმა უკვე ვენა ბრუკის რკინის გზის ხაზი გადალახა. იუწყებიან, რომ ამ ჯარს კომორნი და რააბაც აუღია. არის კიდევ ცნობა, რომ ჩეხები ბუდაპეშტის რკინის გზიდან ერთი საათის სასიარულო მანძილზე სდგანან. ბუდაპეშტ-ვენის რკინის გზაზე სამგზავრო მიმოსვლა შესწყდა. გერმანულ ავსტრიის სანაპირო ყარაულმა ბრძანება მიიღო იარაღი აყაროს უნგრეთიდან გერმანულ-ავსტრიაში გამოქცეულ წითელ სახალხო გვარდიის წევრებს გერმანულ ავსტრიის ჰაეროპლანებმა ასეთივე ბრძანება მიიღეს, რადგან უნგრეთის კომუნისტები ჰაეროპლანებით გაქცევას აპირებენ.

ჰაეროპლანების მიმოსვლა.

ბერლინსა და კოპენგაგენის შორის ჰაეროპლანებით მიმოსვლა დაიწყო. პირველი ჰაეროპლანი ბერლინიდან 8 საათზე აფრინდა და კოპენგაგენში 2 საათზე და 30 წ. ჩავიდა. ჰაეროპლანი 2 ნახ. საათით ვარნენფელდში გაჩერდა, ასე რომ ჰაეროპლანმა ბერლინიდან კოპენგაგენში 370 კილომეტრის მანძილი 4 საათში გაიარა.

სახალხო გვარდიის შემცირება.

ვენაში იტალიის გენერალმა სევრემ გერმანელ-ავსტრიის მთავრობას მოსთხოვა სახალხო გვარდიის შემცირება მოკავშირეთა მიერ დროებითი ზავის პირობებში აღნიშნულ რაოდენობის თანახმათ. სახელმწიფო კანცლერმა რენერმა განაცხადა, რომ დიდი ხანია რაც გერმანულ-ავსტრიის მთავრობა გვარდიის შემცირების საკითხს არჩევს, მაგრამ შემოკლება იმ სახით, რა სახითაც მოითხოვენ მოკავშირენი არ მოხდა უმუშევრობის და ეხლანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობის გამო.

ნოსკეს განცხადება.

„ნეიე ფრაიე პრეს“-ის თანამშრომელთან საუბარის დროს პრეზიდენტმა ნოსკემ სხვათა შორის სთქვა: გერმანიას არ სურს და არ შეუძლია თავის თავის დაღუპვა. გერმანიის ეხლანდელ მთავრობას სურს გერმანიის ხალხის უმრავლესობის ნების ყოფით შექმნას თავისუფალი სოციალისტური გერმანია. ჩვენ არა გვსურ ვიყოლიოთ უმცირესობის მთავრობა და არც უტოპისტების სოციალისტური ექსპერიმენტები გვსურს. ჩვნნ უნდა შევქმნათ და კი არ დავანგრიოთ. ყველაზე უწინ ჩვენ უარყოფთ უხეში ძალის მოხმარებას.

პორტრეტების რვეული

(პატარა რომანი)

1. ღიმილა

სოფლად წამოსულიყო: ზაფხულს გამოეძევებინა ქალაქიდან დედ-მამა და შვილი. სახლი გზის პირას ეჭირათ და გამვლელსა და გამომვლელს ხშირად ჰხედავდა. ქუჩის კარებთან ფიცრის გძელი სკამი დაედგათ და იქ გაუმართა თავისთვის საზვერავი ბინა. ხშირად მგზავრიც მოსჯდომია გვერდით და ტკბილი ბაასი გაუბიათ. თავისი ნაკვეთი ხელებით წყალსაც აწვდიდა ხოლმე მოწყურებულსა. გულით ყველას ერთნაირად ეჭქეოდა და სახეზე გამუდმებითი ღიმი უთამაშებდა. მოაგარაკეთ ღიმილად მონათლეს. შეიშვნია: თავის ბინის კარებს დააწერა—აქ ცხოვრობს ღიმილა და ღიმილას დედ-მამაო.

2. ცხენოსანი

შუადღეს კალთა ჩამოებერტყა და სოფლისათვის თავს ნაკვერჩხლები გადაეყარნა. ღიმილას ჩვეულებრივად თავისი, საზვერავი ადგილი დაეკავებინა და ქუჩის კარების ჩრდილში გატაცებით წიგნსა კითხულობდა.

— ღვთის გულისათვის, წყალი დამალევინეთ!—გაიგონა მუდარით წარმოთქმული სიტყვები.

წიგნს თავი აართვა და თავის წინ ცხენოსანი დაინახა, თვალი ვეღარ მოაშორა. ახალგაზრდა ამაყი ჭაბუკი უცქეროდა.

— წყალსა გთხოვთ.—განუმეორა ცხენოსანმა.

ქალი შეცქრიალდა სახლში და ლიტრა გამოურბევინა.

— უკაცრაოდ, რომ ჭიქა ვერ გამოგიტანეთ და ასე უნდა მოგართვათ წყალი.—მოიბოდიშა ღიმილამ.

— აგრე უფრო გემრიელი იქნება!—წამოიძახა ცხენოსანმა და ლიტრა პირისაკენ გააქანა.

მადიანად მოიყუდა.

ცხენოსანმა წყლის სმა დაიწყო და ღიმილამ ცხენოსანის თვალიერება.

ჭაბუკმა წყურვილი მოიკლა და ლიტრა პირიდან მოიშორა. ღიმილას არწივისებურად გადმოხედა, გაუღიმა, გადმოიხარა და ლიტრა გამოუწოდა.

— ინებეთ და გმადლობთ.—მოახსენა ქალსა.

ღიმილა არ შეინძრა. ჭაბუკზე თვალი დაჰბმოდა. მადლობა სრულიადაც არ გაუგონია. ლიტრის ჩამოსართმევად ხელის გაწვდენა დაავიწყდა და ცხენოსანი გადმოხრილი დარჩა.

— ლიტრა ინებეთ.—გაისმა ჰაერში ნერვიული სიტყვები.

ღიმილა ბევრთა თვალებზე ხელი მოისვა, შენიშნა გამოწვდილი ლიტრა და ჩამოართვა.

ჭაბუკმა ერთხელ კიდევ გადმოხედა ქალსა და ცხენი გააჭროლა. სანამ თვალს არ მოეფარა ცხენოსანი, მანამ ღიმილა არ დაძრულა.

3. დღიური

შინ როგორ შევიდა, როგორ დადგა ლიტრა თავის ადგილას ღიმილას სრულიად არ უგრძვნია, ბურანში გახვეულ ადამიანსა დაემგზავსა. მონისლულის თვალით მხოლოდ ცხენოსანის სახეს ჰხედავდა.

— სადილი, შვილო!—დაუძახა დედამ.

სუფრას მოუჯდა თეფშებს დააცქერდა და ზედ მქრალად ცხენოსან ჭაბუკის სახე გამოეცხადა თავისი არწივისებური გადმოხედვით. წვენი დაუსხეს და დახე საკვირველებას: წვნის მოქარვო ზედაპირზე ჭაბუკის სახის აჩრდილმა ამოიჟვრიტა.

— რას გაშტერებულხარ, შვილო?—შეეკითხა მამა.

— აბა წვენში ჩაიხედე?—მიმართა მამას.—ეს რა არის?

— რა უნდა იყოს?

მამამ წვენი გააჭანჭყარა.

არაფერია! – უთხრა თვალების ხამხამით და ისევ წინ დაუდგა.

ღიმილამ გაიღიმა.

— ძლივს!—სთქვა დედამ. თორემ აი რამოდენი ხანია ვუცქერი და ვერ მივხვედრილვარ რა დაჰმართვია.

სადილი გაათავეს. სამივემ თავისი კუთხე მონახა დასასვენებლად.

ღიმილა გამბულაში ჩაწვა და კედელს დაუწყო ცქერა. ზედ, თუმცა მქრალად მაგრამ მაინც მოსჩანდა ცხენოსნის სილუეტი.

— მართლა რა მემართვება?—შეეკითხა თავის თავს ღიმილა და პასუხი ვერ მიიღო.

წამოდგა ზეზე და მაგიდას მოუჯდა. სადღიურო რვეული გამოიღო. სოფლად რომ მოდიოდნენ მაშინ ეყიდნა თავის შთაბეჭდილებათა აღსანიშნავად და აქნობამდე არ ესარგებლნა.

აღნიშნა წელი, თვე, დღე და დაწერა: დღეს ვნახე ახალგაზრდა ჭაბუკი, ცხენოსანი არწივისებური გადმოხედვით და შეაჩერა კალამი. თეთრ ქაღალდზე ჭაბუკის სახე ამოიხაზა. რაც უფრო მეტს აცქერდებოდა, ჭაბუკის სახის მოხაზულმა უფრო ნათლად ეჩვენებოდა.

რვეულს თავი ანება: წერას ვერ ახერხებდა.

ღამე მოუსვენრად ეძინა: ჭაბუკის სახე სულ თვალწინ ედგა. დილა-ადრიან წამოდგა ზეზე, პირი დაიბანა და რვეულს მიუჯდა. აღნიშნა წელიწადი, თვე, დღე, დასწერა: ღამე უძილოდ გავატარეო, და შეჩერდა კიდევ. მეტი ვეღარ მოახერხა-რა. რვეულის თეთრ ქაღალდზე ისევ ჭაბუკის სახის ლანდი გამოეცხადა. დიდხანს იყო დაფიქრებული. ბოლოს თავში რაღაც აზრმა გაუელვა და გაიღიმა. კარანდაშს ხელი წაავლო. რვეულის თეთრ ქაღალდზე ხელის კანკალით გაატარ-გამოატარა. ჭაბუკის ლანდის ხაზებს შემოუარა. ბავშვივით გაიხარა: თეთრ ქაღალდზე ჭაბუკის სახე კარანდაშით სამუდამოდ აღნიშნულ იქმნა.

— უნდა აღვნიშნო მეორე გვერდზე, რომ ცხენოსნის სახე დავიპირე.—სთქვა ღიმილითა და კალამი აიღო.

მაგრამ ვერა დასწერა რა. გაატარ-გამოატარა კალამი და სიტყვების ნაცვლად ისევ ჭაბუკის სახე გამოინასკვა. ღიმილა გაჯავრდა და რვეულს თავი დაანება. კოტტად გასხვეპილი ჯოხოთ აღიჭურვა და კარ წინ ბაღში გაისეირნა. ხეივნის ბილიკი ჭაბუკის სახის ხაზებით გაივსო. ღიმილა უნებურად ჩერდებოდა და დედამიწაზე ჯოხს ისე ატარებდა, როგორც კალამსა. ვერც ბაღში მოისვენა და სახლს დაუბრუნდა. დაღონებული შევიდა თავის ოთახში და კარი შეიკეტა.

6. ქალაქში.

— რა დაემართა ღიმილას, ვერ გამიგია.—უთხრა ღიმილას დედამ ღიმილას მამას.—საწყალ გოგოს სახეზე რამდენი ხანია ღიმილი აღარ დამინახავს.

— მეც ვამჩნევ მაგას. დაადასტურა მამამ.—ან სულ რაღაც დღიური უჭირავს და ან კიდევ ყველგან დედამიწაზე რაღაც ხაზები გამოჰყავს. როგორღაც გახდა.

— გახდება მარა იქნება ადამიანიო? სულ უმადო არის.

— მაშ ქალაქს წავიდეთ, ექიმს ვაჩვენოთ. მაინც ეს ზაფხულიც ერთიათიოდე დღე-ღა დარჩენილა. როგორც იქნება, ამ ათის დღის სიცხეს ავიტანთ, მერე ხომ აგრილდება კიდეც.

გადასწყვიტეს სოფლის დაგდება და მეორე დღესვე ქალაქს გაჩნდნენ. მაგრამ ღიმილამ ექიმის ახლოს არ გაიკარა. მშობლებიც აღარ აუხირდნენ. ქალმა ქალაქში თითქოს მოიმხიარულა, გამოცოცხლდა. სახეზე ისევ ჩვეულებრივმა ღიმმა დაუწყო თამაში. თავის რვეული გადაავიწყდა. მხოლოდ ერთი უცნაურობა დასჩემდა: მთავარ ქუჩაზე სიარულს მოუხშირა და თვითვეულ მამაკაცს ახალგაზდას გულმოდგინეთ აკვირდებოდა.

5. ისევ დღიური

— რატომ ეგრე მოწყენილი ხარ, შვილო?.. არ გაივლი დღეს?—შეეკითხა დედა ერთ საღამოს,—სასყიდელი მაქვს რამე უნდა დაგაბარო.

— არა, დედილო, მე არსად წავალ!—მიუგო ღიმილამ.

დედამ ხელში რვეული დაუნახა.

— კიდევ მოუძებნია თავის დღიური?—სთქვა თავისთვის წყენით მშობელმა და დაღონებული საქმეს მიუტრიალდა.

მეორე დღეს დილით ღიმილამ სამწერლო ნივთების დუქნისაკენ გაემართა, შეიძინა ფერები და ისე დაბრუნდა შინა. გადაშალა სადღიურო რვეული და წინა დღის რიცხვით აღნიშნულს ფურცელზე ეწერა. ვეძებე და ვერ ვპოვე. ქვეით კი იმავე დღეს შემოხაზული პირისახე იყო მოთავსებული. უკმაყოფილოდ დახედა და შემდეგ ცარიელ ფურცელზე გადავიდა. თვალწინ იმავე სახემ დაუწყო თამაში. მხოლოდ ერთი განსხვავებით წინანდელთან. სახე ბუნდოვანად აღარ გამოიყურებოდა. ღიმილა ცხადად ჰხედავდა ხორბლის ფერს კანსა, შავ თმასა, მაღალ ფართე შუბლსა არწივისებურ ცხვირითა და გამჭრიახ თვალებსა. ქალმა ფერები გახსნა და ფუნჯით გაუსვა-გამოუსვა ქაღალდიდან მაცქერალ სახეს. ხელს ისე ამოძრავებდა როგორც გამოცდილი მხატვარი. პირველად თუ უკვირდა ხაზების გასმა-გამოსმა და ხელი უკანკალებდა, ეხლა თამამად ათამაშებდა ფუნჯსა. დაამთავრა და ახალ ფურცელზე გადავიდა. კალამს მიმართა. აღნიშნა წელი, თვე, დღე და დაწერა: „დღეს იძულებული ვიყავ ფერები შემეშველებინა“, და შეჩერდა. თვალწინ ისევ ჭაბუკის სახე გამოეკიმა. ხელახლად აათამაშა ფუნჯი და კიდევ აღბეჭდა სახე ფერებით.

6. ლოგინში

— შვილო, დღიური, შენ დაგღუპავს!—უთხრა ბეზარს მოსულმა დედამ გაჯავრებით, როცა დაინახა რომ ღიმილა რვეულს ხელიდან აღარ უშვებდა და დღემუდამ შიგ იცქირებოდა.—რას აგიხირებია? შეიხედე სარკეში რას დაემსგავსე. სანთელივით იწვები და დნები.

ღიმილამ ყური არ ათხოვა დედის გაჯავრებას. არც მამის ტკბილ სიტყვებს გაუგონა. მთელი თავისი არსებით რვეულის განკარგულებაში იყო. ჯანით კი დღითი-დღე ილეოდა და მალე ლოგინში მოუხდა ჩაწოლა. რვეულიც გაუთავდა დედ-მამამ მეორე აღარ უყიდა და თვითონაც სიარულის თავი აღარ ჰქონდა. ჭაბუკის სახე კი თვალიდან არა სცილდებოდა.

დედ-მამამ ექიმი მოუყვანეს.

— აბასთუმანში უნდა წაიყვანოთ,—აუწყა ესკულაპმა,—თორემ მოკლე ხანში ხელიდან გამოგეცლებათ.

დედ-მამამ ყურები ჩამოჰყარა. იმ დენი ფულები სადა ჰქონდათ!

ძალზე მისუსტებულს ღიმილას ჩაეძინა და ძირს რვეული გადმოუარდა. ექიმი დასწვდა და აიღო, გადაშალა და განცვიფრდა.

— აი ფულები!—უთხრა დაბალის ხმით გონმოსულმა ქალის დედამამას.

— რას ბრძანებთ ბატონო, ექიმო?—წამოილაპარაკა დედამ—ჩემი ქალი ფულს თავის დღეში არ ინახავდა! რასაც ვაძლევდით, ხარჯავდა.

— აი, ბატონო, ეს გახლავთ ფულები,—უჩვენა ექიმმა რვეულზე.

— ჩვენი ქალის დღიური, რომელმაც სამარეს პირამდი მიიყვანა?—მოახსენა მწარე ირონიით მამამ.—ვის რაში დასჭირდება?

— არა, ბატონო, ეს დღიური როდია,—განუმარტა ექიმმა.—გეტყობათ არ იცით თქვენი ქალი რას აკეთებდა.

მშობლებს რვეული გადაუშალა.

დედა და მამა სახტად დარჩნენ, როცა თავის ქალის რვეული ვიღაც უცნობი კაცის პორტრეტებით გავსილი დაინახეს. მოულოდნელი ამბავი იყო. არც ერთსა არც მეორესა აქნობამდე აზრადაც არ მოსვლიათ გადაეთვალიერებინათ თავის ქალის რვეული, რომელსაც ისინი დღიურს ეძახდნენ.

— იცოდეთ, თქვენა,—მიმართა პატეტიურად ღიმილას მშობლებს ექიმმა, რომ ამ პორტრეტებს ბევრი ცნობილი ევროპიელი მხატვარი დიდის სიამოვნებით თავის ხელის ნამოქმედარად ჩასთვლიდა გამოფინეთ რომელიმე დუქნის ფანჯარაში და სამის დღის განმავლობაში პირობას გაძლევთ ჯერ ერთი თქვენს ქალს გაუვარდება ნიჭიერი მხატვრის სახელი და მეორე კიდევ იმდენს ფულს იშოვით, რომ ქალიც აბასთუმანში წაიყვანოთ და მზითებიც დაუმზადოთ, თუ გათხოვებას დაუპირებთ.

ღიმილას მამას დიდხანს აღარ უფიქრია. რვეული საჩქაროდ მთავარ ქუჩაზე ერთის ნაცნობის ვაჭრის დუქანში გამოფინა. ღიმილამ რომ მოიკითხა, უთხრეს, თუ ტახტს უკან გადაგივარდაო ძილის დროს, ან თუ მე გავაყოლე ხელსა და სადმე შევინახეო, დაუმატა დედამ და დაჰპირდა მოგიძებნიო.

ინ—ბანი.

(დასასრული იქნება).

მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა არ დაუშვას მუქარის ან უხეში ძალის საქმეში ჩარევა. აგრეთვე არ დაუშვებს ბოლშევიზმს, რომელსაც ალმოსავლეთიდან ახალის სიძლიერით მოაქვს იერიშები. გერმანიას სურს შეაჩეროს ბოლშევიზმის წინსვლა, რომელიც შეთანხმდა არა თუ მარტო გერმანიასა და დანარჩენ ევროპას, არამედ მთელ მსოფლიოს. ჩვენი მტრები უნდა დაფიქრდენ ამაზე და შესაფერი პოლიტიკა აწარმოვონ. გერმანიის პოზიცია, როგორც ეხლა ისე მომავალში, დამოუკიდებელია ტ ჩქარი მისაღებ ზავზე. მაგრამ, თუ მოკავშირეებმა დააგვიანეს ზავის შეკვრა ან თუ ნაძალადევი ზავი მოგვახვიეს თავს, მაშინ ყველა ის, რაც აქამდე ითქვა, ცარიელ სიტყვებათ დარჩება და გერმანელ ხალხის ენერგია დაეცემა რადგან მას ძალით სპობენ.

მუშაობის განახლება

ბერლინში ოთხშაბათს, აპრილის 22 მოსამსახურეთა ბანკის საარბიტრაჟო კომისიის დადგენილების გამოცხადების შემდეგ ბანკებმა მუშაობა განაახლეს.

პოლონური ჯარი გერმანიის რკინის გზაზე

ფრანკშტატისაკენ პოლონელთა ჯარის გადაყვანის დროს არა სასურველი ინციდენტი მოხდა, ჯარისკაცმა მოიტაცა 2 ოფიცრის ჩემოდანი და პაკეტი ქალალდებით. ინციდენტი უკვე მოწესრიგებულია იმით, რომ ზარალი აუნაზღაურეს და მწუხარება გამოსთქვეს. ამას გარდა სამართალში აძლევენ სადგურის მცველებს. მაშინვე მოვიდა ცნობა, რომ იმავე რკინის გზის ხაზზე მოხდა მეორე ინცინდენტი პოლონელებთან. აღმოჩნდა, რომ პოლონელები არა სცდილობენ, თანახმად მიღებულ ვალდებულებათა, არ ჩაიდინონ ისეთი საქციელი, რომელსაც შეუძლია აღშფოთება გამოიწვიოს სადემარკაციო ხაზის აქეთ. პოლონელთა სატრანსპორტო მატარებელი მორთული იყო პოლონურ ეროვნული დროშებით და პოლონელი ჯარისკაცები მედიდურათ მღეროდენ პოლონურ ეროვნულ სიმღერებს.

შევკი ფაშას დაპატიმრება

თბილისი, აპრილის 25. ინგლისის მისია იუწყება, კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის მე-9 არმიის სარდლათ ნამყოფი შევკი ფაშა ოსმალეთის მთავრობამ გადააყენა და ბრიტანეის მთავრობის ბრძანებით დააპატიმრეს და ტრაპიზონიდან სტამბოლში გაგზავნეს, სადაც ის 27 აპრილს უნდა მივიდეს. ეტვი არაა, რომ სასამართლოს წინაშე ის პასუხს აგებს ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან და მისი არმიის ჯარისკაცებმა ჩაიდინეს კავკასიაში.

იალტა. აპრ. 24. იალტაში ყველა მთავრობის, სავაჭრო და საზოგადო დაწესებულებები განაგრძობენ მოქმედებას. თეთრგვარდიელების მიერ შემოღებული სამხედრო წესები მოიხსნა. კრების თავისუფლება აღდგენილია. ღვინით ვაჭრობა აკრძალულია.

ალუშტა, აპრ. 24. სიმფეროპოლ-ალუშტას რკინის გზა განთავისუფლებულია. 24 აპრილს ქალაქში შევიდა საბჭოთა პირველი რაზმი. რომელმაც აგრეთვე დაიპირა გურზუფი და იალტა. მთელი ბურჟუაზია იალტაში გაიქცა. იქიდან ტრანსპორტებზე—სევასტოპოლში. სურსათის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

რიბინსკი. აპრ. 24. კომუნისტების მიერ გამოცხადებული მობილიზაცია კარგათ მიმდინარეობს. აღმ. კომიტეტმა გამოყო კარგი მომუშავები ალმოსავლეთ ფრონტზე გასაგზავნათ. მოაწყეს მოხალისეთა ჩაწერა კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

რიგა. აპრ. 24. ცნობა მოვიდა, რომ ტალსენის დაპერის შემდეგ თეთრები უსამართლოდ ხვრეტდენ მცხოვრებთ. გამოიცა ბრძანება ყველა კომუნისტების დახვრეტის და მუშების დაპატიმრების შესახებ. ვინც კომუნისტებს თავს შეიფარებიენს, ისიც დაიხვრიტება—მთელი ოჯახით.

სიმფეროპოლი. აპრ. 20. ადგილობრივ ბურჟუაზიას ათი მილიონი მანეთის კონტრიბუცია დაადეს. რევ. კომ. დადგენილებით გაქცეულთა ქონებას კონფისკაცია მოელის. გამოცხადდა ბურჟუაზიის მობილიზაცია 18 წლ. 45 წლ. შრომის ბეგარის მოსახდენათ.

ნაუენი აპრ. 22. ბრემენში გაფიცვები გრძელდება. გაფიცულებს მიემხრენ გაზის ქარხნების მუშები. **ლიონი** აპრ. 23. საზავო კონფერენციაზე დამსწრე დელეგაციებს დაურიგეს მოხსენებები ომის პასუხისგებლობის შესახებ. ომის პასუხისგებლობა ედება გერმანიას, ავსტრიას და უნგრეთს. ყველა დამნაშაგებმა აგრეთე ოფიცრებმაც, გენერლებმაც შტაბის უფროსებმა და უმაღლეს თანამდებობის პირებმაც უნდა მოიხადონ დამსახურებული სასჯელი. ომის დამწყებთა იურიდიულათ სისხლის სამართალში მისაცემათ კომისია წინადადებას იძლევა დაარსდეს უმაღლესი ტრიბუნალი, რომლის მუშაობაც არსებულ სამხედრო სასამართლოს ხელს არ შეუშლის.

გერმანული პრესა

მდგომარეობა ჰუნგრეთში.

ჰუნგრეთში, როგორც ხჩანს, მდგომარეობა უფრო მწვავდება, ზოგიერთი ცნობების მიხედვით საბჭოთა მთავრობა მალე დაეცემა. მაგრამ ა- ცნობებს უარყოფენ ჰუნგრეთიდან მოსული ამბები. რუმინიის ჯარი უნგრეთის ტერიტორიაზე შეიპრა და როგორც ამბობენ, ისინი უკვე დებერეჩინასთან და გროსვარდეინთან იმყოფებიან, ამავე დროს ჩეხო-სლოვაკების ჯარები ჰუნგრეთის სადემარკაციო ხაზზე გადადიან და ბუდაპეშტისკენ წინ მიიწევენ.

ინგლისური პრესა.

საზავო კონგრესზე.

ოთხთა საბჭო კიაო-ჩაოს საკითხის გარჩევას სამშაბათს აპირებს. შანდუნის საკითხი დროებით გადაიდო. იტალიის მოთხოვნილებამ კონფერენცია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა. მაგრამ ჯერ კიდევ არის იმედი, რომ შეთანხმება შესაძლებელია. ორლანდის წასვლა გადაიდო. დეპუტატების სხდომა მაისისათვის გადაიდო. მოელოდენ, რომ იტალიელები დაესწრებოდენ ოთხთა საბჭოს შუადღის სხდომას, მაგრამ ისინი არ გამოცხადდენ, ეს შესაძლებელია ჩაეთვალათ კონფერენციიდან წასვლის მუქარით, მაგრამ ეს აშკარაა, იმიტომ მოხდა, რომ ოთხთა საბჭოს სურდა ჯერ იაპონიის საკითხის განხილვა, რათა იტალიელებისათვის მოსაფიქრებლათ დრო მიეცათ და შემდეგ დაბრუნებოდენ მათ მოთხოვნილებათა განხილვას. დილის სხდომის შემდეგ კლემანსო, ორლანდო და ლიოდ ჯორჯი დიდ ხანს მსჯელობდენ შექმნილ მდგომარეობაზე. მთავარ შტაბში მათ ვერ აუხსნეს, თუ იტალიელები ბოლოს და ბოლოს დაეთანხმებიან გონიერ საბუთებს, თუმცა ზოგი მათგანი დაბეჯითებით აპირებს წასვლას. როგორც ამბობენ, ლოიდ ჯორჯი და კლემანსო ვილსონს მხარს უჭერენ ფიუმეს საკითხში.

ინგლის-ამერიკის უთანხმოება

ლიონიდან იუწყებიან, რომ ლოიდ ჯორჯი დათანხმდა, ამერიკა-ირლანდიის დელეგატები მიიღოს მომავალ კვირაში. პრემიერს სურს მოუსმინოს დელეგატებს და ალბათ, თავის მხრით ვერც პასუხს გასცემს, რათა განმარტოს ის უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა ინგლისისა და ამერიკის შუა. ლოიდ ჯორჯი მზათ იყო ამ კვირაში მიეღო ისინი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბევრია ისეთი საქმე, რომელიც დაუყონებლივ უნდა განიხილოს კონფერენციამ, და ამის გამო დელეგატებს სთხოვა გადაედოთ წასვლის დღე. საქმის მდგომარეობა, რომელიც თითქმის არ აკმაყოფილებდა შეერთებულ შტატებს, ეხლა ირკვევა. ლოიდ ჯორჯს არაფერი აქვს საწინააღმდეგო მათთან თანამშრომლობისა, მათი განმარტების მოსმენისა და მზათაა მათთან ერთათ განიხილოს მთელი საკითხი. მოლაპარაკება წინათ ისე სწარმოებდა, რომ შესაძლებელი იყო მხოლოთ საქმის გართულება. იმ პირს, რომელიც მათ ხელმძღვანელობდა, მხოლოდ ზიანის მიყენება შეეძლო ინგლისსა და ამერიკის შორის არსებულ მეგობრულ განწყობილებისათვის.

ლოიდ ჯორჯმა მალე მონახა ასეთ მდგომარეობიდან გამოსავალი იმით, რომ დელეგაციის პირადათ მიღების სურვილი განაცხადა, რათა ამნაირათ დაემტკიცებია, რომ ის მზათაა ამერიკელებთან ერთად იმუშაოს ინგლისისათვის უმნიშვნელოვანესი და უმძიმესი საკითხის გადასაჭრელათ.

აზერბაიჯანი

500,000-ის გატაცება

აზერბაიჯანით მოსული ცნობებით უცნობ პირებს ევლახის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა გაუტეხიათ და წაუღიათ 500,000 მანეთი, რომელიც რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქებში გასაგზავნად იყო დამზადებული. ბოროტმოქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

ქალალდისა და წიგნების ნაკლებულობა

ქ. განჯაში ძალიან ნაკლებად არის ქალალდი და წიგნები. დახაზული ქალალდი ცალი 50 კაპ. ღირს ყარანდაშები თითო მანეთი.

სომხეთში

ქარჩიკიანის მკვლელის დასჯა

ქარჩიკიანის მკვლელის, ეგორ მინასიანის საქმე დასრულდა, დამნაშავეს მიუსაჯეს 10 წლის კატორგა, ყველა უფლების აყრით.

გენ. ყორღანოვი

სომხეთის დელეგაციის წევრი გენ. ყორღანოვი პარიზს გაემგზავრა.

სომეხთა პროტესტი.

აპრილის 16 სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ინგლისის სარდლობას კავკასიაში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „აპრილის 3-ს ბრიტანეთის სარდალის პოლკოვნიკ შატალვორტის ხელ მოწერილი განცხადება გამოუშვეს რაშიაც მოუწოდებდნენ შუშის ზაგეზურის და ჯებრალის მცხოვრებლებს აზერბეიჯანის გენერალ გუბერნატორს ექიმ სულთანოვის და მის მოხელეთა „ბრძანებებს და განკარგულებებს“ „უსიტყვოდ“ დაჰმორჩილებოდნენ.

ბრიტანეთის სარდლობას არა ერთხელ განუცხადეთ რომ არც ადგილობრივი მოსახლეობა და არც სომხეთის მთავრობა ვერ შეურიგდება იმ აზრს რომ ზანგეზურისა და სომხურ ყარაბაღის მმართველად აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორი იყოს.

ჩემი მთავრობის სპეციალური დავალება მაქვს განგიცხადოთ, რომ ჩვენ ისევ ჩვენ ძველ თვალსაზრისზე და აზრზე ვართ.

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიისაგან.

სწავლა-აღზრდის საქმეში დამფუძნებელი კრება მოწოდებულია უდიდესი მუშაობა შეასრულოს: უნდა ჩაეყაროს საძირკველი განათლების საქმის ძირითად გარდაქმნას, ახალ საფუძველზე მის აგებას და აღორძინებას. ამ მხრით დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიას დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული. მან შესაფერი უნარის და ინიციატივის გამოჩენით უნდა შესძლოს სწავლა-განათლების სფეროში ამ დიდ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხების დამუშავება და დამფუძნებელი კრებაში მიღებულ სათანადო დადგენილების და კანონებ[illegible]ოვრებაში გატარება. მის საზრუ[illegible] აგანს შეაღგენს აგრეთვე არსებულ სკოლების შესაფერ სიმაღლეზე დაყენება.

რათა კომისიამ პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, აუცილებელია, რომ ის მჭიდროთ დაკავშირდეს მათ მოთხოვნილებას და საჭიროებას. ამ მიზნისთვის აუცილებელია კომისიას მოაწოდონ ყოველნაირი მასალები სწავლა-განათლების საქმესთან დაკავშირებულ სასაკითხების გასაცნობად.

ამიტომ სასკოლო განათლების კომისიამ თავის სხდომაზე 17 აპრილს 1919 წ. გადაწყვიტა მიმართოს რესპუბლიკის ყველა სკოლებს (დაბალ, საშუალო და უმაღლეს), ერობათა და ქალაქთა გამგეობებს, მასწავლებელთა რაიონულ და სამაზრო კავშირებს მუდმივ მოაწოდონ ხოლმე კომისიას ზემოაღნიშნული მასალები, სადაც—სხვათა შორას აღნუსხული უნდა იყოს:

1. რიცხვი: სახაზინო და არა სახასახაზინო სახალხო პირველ-დაწყებითი, უმაღლეს პირველ-დაწყებით, ტეხნიკურ პროფესიონალურ, საშუალო და სხვა სკოლებისა განსაზღვრულ რაიონში ან მაზრაში.

2რა მდგომარეობაში იმყოფებიან საერთოდ ისინი და ცალ-ცალკე თვითეული.

3. არის თუ არა საჭირო ახალი სკოლის დაარსება; თუ არის—სადა და რა ტიპის.

4. როგორია სკოლების ნივთიერი მდგომარეობა და მოწყობილობა.

5. არიან თუ არა მასწავლებლები, სკოლის მმართველები და უფროსები ზნეობის მხრით თავის დანიშნულების სიმაღლეზე, თუ არ არიან—ვინ და სად?

6. რამდენი მასწავლებელია თვითეულ სკოლაში და სად; რამდენია მათი რიცხვი მთელ ქალაქში, რაიონში და მაზრაში?

7. სად და რამდენი ბავშვია სასკოლო ასაკისა?

8. სად და რა ტიპის სკოლებია უფრო საჭირო?

9. შეიძლება თუ არა სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესობა ადგილობრივი ღონისძიებებით.

10. რაში გამოიხატება ერობათა და ქალაქთა გამგეობებთან არსებული „სახალხო განათლების“ განყოფილებათა მოღვაწეობა.

მასალები და ცნობები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით: დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიის. თბილისი—სასახლე.

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიის თავმჯდომარე **ლ. ნათაძე.** მდივანი **ნ. იმნაიშვილი.**

კორესპონდენცია

სოფლად

ღმერთი, რჯული!,. არ გინდათ ყურადღება მიაქციოთ, აღელვდეთ და სისხლი გაიფუჭოთ!.. მაგრამ განგებას ხუთიევე გრძნობით დაუჯილდოებიხართ და როგორ გნებავთ, არ შეხედოთ, წაიყრუოთ და არ აგაღელვონ იმან, რაც თქვენი თვალის წინ ხდება!..

რა თქმა უნდა, საკვირველიც არაფერი იქნებოდა; რაც გინდა რამ მომხდარიყო რევოლიუციის პირველ ხანებში!.. დღეს აღმშენებლობას ხელი მიყვეს.

მაგრამ... სოფელი ჯერ კიდევ ღვთის ანაბარადაა მიტოვებული.

აგერ კრებაა, ხალხი თხის ქურდობის საქმეს არჩევს... სამი დამთხვეული მილიციონერი, თოფებით ხელში, გარს უტრიალებს კრებას. აირჩიეს კომისია... ერთი არჩეულთაგანი მოხუცი ეღრიჭება ხალხს: „ასეთ კომისიებში გარევამ მე ამომწყვიტა, ქურდებს ვერაფერი დავაკელი და მათ კი საჩემო მიქნეს; ნუ გამირევთ ქურდის გამოტეხის საქმეში მოხუცს, ახალგაზდებმა და საქმის მცოდნე პირებმა იკისრონ ეს... ესეც არ იყოს, ქურდობა მეორე სოფელშია მომხდარი, ვერ აგხსნი ამ საქმესო.“—უმრავლესობა ანთავისუფლებს... წამი და მივარდება მას ხელი მილიციონერი და ძალზე ჩასცემს თოფს ხიშტივით მუცელში. მოხუცი საცოდავად აღრიალდება; ყველას გონია, რომ მუცელი გაპობილი აქვს... თურმე ხელი დაეხვედრებია საცოდავს თოფისთვის და ოჯახის მარჩენელი, მარჯვენა შუაზე გაუპეს; სისხლი მოჩქეფდა... ხალხში უკმაყოფილების ხმა გაისმა, მილიციონერებმა სროლა ასტეხეს... კრება დაიშალა მწარე ჩურჩულით:—„ასეთი ამბები ნიკოლოზის დროშიაც არ ხდებოდა“...

ღამეა. რძალ-დედამთილი სამზარეულოში ფუსფუსობს,.. ორი-სამი თვის ფუნთუშა ბავშვი აკვანში ატირდა.—დედა ამოღებული ძუძუთი მივარდა... თურმე დამცემლები კარებთან მდგარან... გავარდა თოფი და უსულოდ დაეცა გულ გაღეღილი დედა... კაჩაღები შეიპყრეს... რავდენიმე დღის შემდეგ გაუშვეს; არხეინად დაბრძანდებიან.

ორმა არამზადამ სამიკიტნოში დიდძალი ფული წააგო ბანქოში... რომ წაგება აენაზღაურებიათ, გაექანენ სოფელში, მოიპარეს ხარები და დილა ადრიან №-ში ჩაიყვანეს, ყასაბს მიგვარეს... მადლიანებმა ქურდები შეიპყრეს და ნაქურდალიც წაართვეს... დღეს ისინი ხალხში ურევია და პოლიტიკურ საქმეებზედაც-კი ჰბედავენ კამათს.

მობრძანდა რაიონის ახალი კომისარი დიდი ბაქა-ბუქით... გვეგონა, აგვაშენებდა... სულ ხელ და ხელი ქათამი დაიწყო: დღისით და ღამით. ცხადად და დაფარულად მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმეს ემსახურებოდა... წაფინთა, მისვარ-მოსვარა არე-მარე... გამოძიებამ აშკარა დამნაშაობა აღმოაჩინა.. ადგილიდან გააძევეს და შეიპყრეს კიდეც... დღეს ეს ვაჟბატონი ერთ-ერთ ქალაქის საუკეთესო ნაწილის კომისარია.

რამდენი ამისთანები გნებავთ!.. და ყველა ეს მას შემდეგ, რაც რევოლიუციის ცეცხლმა ქრობა დაიწყო..

ჭკვიანი და აღმშენებლობითი ნიჭის მქონე პირები სამსახურში, მეტი დაკვირვება და ზომიერი შაღავათიანობა... თორემ ასე სოფელი არ აშენდება!

კირილე წუთისოფელი.

მცხეთის ეპარქიის სამღვდელოების ცხოვრებ დან.

ამ ეპარქიის სამღვდელოებამ ბოლო დროს გაბედული ნაბიჯები გადადგა; არც ერთ ეპარქიიდან არ ისმის იმდენი დროს შესაფერი ცვლილებები, როგორც მცხეთის ეპარქიიდან- მაგ. პირველი კრება ამ სამღვდელოებისა დაიწყო ქ. დუშეთში, რომელიც გამოწვეული იყო სამღრთო სჯულის სკოლებიდან განდევნის გამო. მეორე კრებაც ისევ დუშეთში მოხდა და მესამე საეპარქიო კი, მცხეთაში სვეტიცხოვლის გალავანში. ამ კრებაზე გაირჩა: სამღვდელოებისათვის ყოველ დღიური ორგანოს დაარსება. წინადადება თბილისის სანთლის ქარხნისადმი, რომ კერძო პირებზე სანთელი არ ჰყიდოს, ყოველგვარი ჯილდოების მოსპობა, რომანოვების ჯვრების გაუქმება და ქართულის შემოღება, ყველა სამღვდელოებისათვის „საერობო ფონდიდან“ მიწის მიცემა, ისე როგორც ყველა მიწის მუშას, სამღრთო სჯულის უფასოდ სწავლება სამღვდელოებისაგან, რომ იგი მოსპობილი არ იქნეს სკოლებში, საეპარქიო საბჭოების ძალა-უფლების შემცირება და ამ უფლებებით მღვდელ მთავრების აღჭურვა, საეკლესიო წესრიგის აღდგენა სასულიერო უწყებაში, არსებულ ჯამაგირზე (21 მან. თვეში) უარის ყოფა, მღვდელ მთავრის მიერ ეპარქიის ყველა ეკლესიების დავლა ამ ზაფხულს და ხალხის დამოძღვრება ქრისტიანობაზე, მედავითნეებისთვის ორი მეხუთედის მაგიერ მესამედის მიცემა და სხვა.

კრების გათავებისას სამღვდელოებამ მიანდო ორ თავის რწმუნებულთ, რათა მათ მიემართნათ მისი უწმიდესობის კათოლიკოზ-პატრიარქისთვის, რომ სამღვდელოებისთვის მიეცათ დღიური ხარჯი სანთლის ქარხნიდან, როგორც ჩვეულნი იყვნენ. პატრიარქს ეს ქალალდი გადაუცია საკათალიკოზო საბჭოსთვის, ამ უკანასკნელს კი დაუდგენია: „ვინაიდან მცხეთის საეპ. კრება ჩვენგან არ ყოფილა მოწვეული და არც ვიცით თუ რა საკითხები გაირჩა მასზე ჩვენ „დღიურს“ არ მივსცემთო“.

ასეთი განკარგულება საბჭოსი ეპარქიის სამღვდელოებას ელვის სისწრაფით მოედო და ყველანი უკმაყოფილონი დარჩნენ ასეთი მსჯავრით.

მცხეთის ეპარ. სამღვდელოებამ იცის, რომ მას ჰყავს საკუთარი მთავარ-ეპისკოპოზი, რომლის გაუგებარი ეს კრება არ ყოფილა; რაც შეეხება, რომ საკ. საბჭოს უნდა სცოდნოდა—აქ სამღვდელოება რა შუაშია, რომ სამღვდელოების შეკრება თვითნებობით არ ყოფილა, და მაინც ეპარქიის სამღვდელოება თანახმად თვისი დადგენილებისა, ძალიან ცოტა მონაწილობას აქცევს „საბჭოებს“ და ყოველთვის მიმართავს ხოლმე თავის მღვდელმთავარს, რაც მღვდელმთავარსაც სახეში უნდა ჰქონდეს ეს.

სამღვდელოება გაიძახის: „არც თავად აკეთებს რამეს (საკ. საბჭო) და ჩვენ შეკრებასაც „ურჩობას“ ეძახისო“. და მართლაც ნუ თუ სოფლის სამღვდელოებამ რომ შორიდან უკარნახოს რამე საბჭოს ის „ურჩობათ“ უნდა ჩაუთვალოს?

როგორც გავიგეთ სამღვდელოებას განუზრახავს საქართველოს ეპარქიების ყველა ოლქებიდან მოიწვიონ თითო რწმუნებული, სადაც აპირებენ მრავალ საქმეების მოგვარებას. ეს კრება მოწვეული იქნება მცხეთის მთავარ ეპისკოპოზის და სრ. საქ. კათოლიკოზ-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. პირველ რიგში იქნება სანთლის ქარხნის საქმე. დასავლეთ საქართველოში სანთლის ქარხანა კერძო პირებზე არ ჰყიდის სანთელს, რაც ძლიერ მაღლა სწევს ნივთიერად ეკლესიებს: თბილისის ქარხნის წყალობით კი თბილისის და ქუთაისის გუბერნიების ყველა სომხის დუქნები სავსეა გასასყიდი სანთლით. ქიშპობას უწევს ისედაც ჩვენს დაქვეითებულ ტაძრებს. აუცილებლად ყოველ დღიურ ორგანოს დაარსებაზედაც იქნება მსჯელობა და კიდეც მოგვარდება ეს საქმე.

ფ. სხვიტორელი.

შემოწირულება

რედაქციამ მიიღო კ. მარტველეულის ხელით გაზეთის სასარგებლოდ სხვა და სხვა პირებისგან.

ნიკოლ. ჯანდიერისაგან 5 მან., გ. დივანიანცისაგან 20 მან., რიმა ტერ-სარქისიანცის ასულისგან 10 მან., მე-5 უბნის კომისრის თანაშემწემ ივანე ჭალაგანიძისაგან 20 მან., კანტარალიორი ვიქტორ ელევთერიშვილისგან—10 მან., იოსებ გვეტაძესაგან 20 მან., ივანე ყენიასაგან 10 მან., დავით არჯევანიძესგან 20 მან., გ. მგელაძესაგან და დუმბაძესაგან 50 მან., გრიგოლ კვახაძესაგან 29 მან.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქმდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქმდე.
პლაცკარტის ფასი ბაქმდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიდან—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დაღის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის
მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ე ქ ი მ ი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).
(25—2324—1)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1
7—92.

ხამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის კვაჭილიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მ ო ნ ს ე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, საღსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კკირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—44